


ზ. ლაშვილი

შინაშ ანთავსუკლავა

ქართული
ზინლირთიქს



ყაზგაგური ალტარნატიული კაფიეპი

მედროვეები

რახლა ხერხს არა ხმარობდენ
კომპარტიაში შეხვლისთვის!
ახლა სულ ცხო გზას დადგენენ
აემ სისტემის შეცვლისთვის!..

პარტიას, წელკავიანსა,
ძრიალ ლამაზად ესმისო:
ვინც აღრე ფეხზე პკოცნიდა,
ის უფრო ტალახს ესვრისო!..

მოხვევმა თქვა: „ეგ საქმე
არ ახალია, ძველია, —
პარტიაც. მისი მტინებიც, —
სულუველა შეხაცვლილია!“

მითხასნილი

ხან ჩვენთანაა, ხან — მტერთან,
საძოვრად უნდა ქვეყანა!
სადაც არ ეკითხებიან, —
მისას ამწვეტებს ყველგანა!
ეგეთი მოლაყფებო
ქვეუნად ყრია და ეყარა,
სხვას იყოს აკიდებული, —
ღმერთმა ეგ კირი შეპყარა!..

არანდატორქვს

ბუქნავენ თავმჯდომარენი:
„ცხვარს გამოუჩნდა პატრონი!
ფერმაში არენდატორიც
ტრიალებს, როგორც „მატორი“,
მარტოკას მისცეს სათქველფად
აქამდე ხოყნის ნატორი!“

სიკეთის ვერღანახველ ანონიმს

შენ ჩვენი გორის არა ხარ
(ქართველად კი იხსენები!)
ქართველს არა აქვს სისხლშია
„შვიგან“-გამცემის გენები!
მოლაღატე ხარ მოდგმითა,
ზურგზე გკიდია ენები!
მაგ შენს „ხელობას“ ვერ მავლი,
ხანამ არ განესვენები!..

მეტაშეს

ხრუშჩოვ-ბრეჟნევის მეხოტბევ,
თაფლს რომ ირევდი ხმაშია,
ხელები გადაიტყავე
იმათთვის ტაშის კვრაშია!..
ახლა მიტინგებს უტაშებ,
როცა გაიძლე ფაშია!..
რომელ პარტიას ეკუთვნი,
მეტაშევ, საქმე რაშია?!.


ზინწასვლადავიწყებულ სტუმარს

ნადლი სტუმარი იქნები, —
რაც გიმსპინძლე, — იკმარო!
თუ გინდა, ეგ შენი თავი
პატრონს ლამაზად მიგვგარო,
ნულარ აჯანჭლებ წახვლასა,
სადამდე უნდა მიპქარო, —
შენ წახვლის, ჩვენი დარჩენის
აღარ დავლიოთ, ჭიგარო?!.

მეგობრული შარვი
თენიზ გოგოლაძისა



ნახ. ბ. ზუგაშვილისა



ე.ე.



თუ კაცი ხარ, რომ ამიწონი, — მერე თხლად
დამიჭარი!
ნ. ჯ. ლოლუასი

ბრწყინვალე მხიბლავი ტიპოლოგები

ეროვნული თანხმობა

- რის რიგში იდეები?
- სიგარეტისი შენი?
- ახანთის!
- მომიკიდე, თუ კაცი ხარ!
- მომაწვიინე და მოგიკიდე!

ს ი უ ხ ვ ე

- კომუნისტური პარტიიდან გასულხარი!..
- გავედი!..
- ხად შედიხარ?
- ვნახოთ, ეგ მაინც არის ახარჩევად!..

და კ ვ ე თ ა

- ალო!.. ალო!..
- ვერტმფრენების კოპერატივი გისმენთ!
- თუ ძმა ხარ, მისამართი ჩაიწერე და ერთი ვერტმფრენი გამომიგზავნე, რუსთაველის პროსპექტზე ვარ გახასვლედი!..

დაბრუნება და შინ მოსვლა

- წუხელ შენი „ვოლგა“ გაიტაცეს?

— გაიტაცეს!

- მე წავიყვანე! ალო, ხო ისმის? დაბრუნება ექვსი ათასი დაგიჯდება!
- ექვსი რა ამბავია, ღმერთი აღარ არის?! ათასი მაინც დამიკელი!
- ღმერთი, გარბაჩოვი არ ვიცი მე!.. არ იქნება!.. ეგ ხო „უიგული“ არ არი?! შენ იცი, წაყვანაზე რა გავწვალდი?! კაპიკი არ დააკლდება!..

მოისმინა და ჩაიწერა
ძირუ ლელიამ

კულტურა

დროის გადაყვანა

საბრალო საათი ოხრავს და ხვნეშის: — ეს ჩემი ისრები შეიკლეს ხელში, დაარბენინებენ ხან წინ, ხან უკან, მთლად შემოატარეს კავშირის რუკა!

ვითომ არ გავფლანგავთ აწი დროს უქმად? თაროზე გაჩნდება პალვა და ნუგა? ... საათთან თამაში არ არის ძნელი — რად გინდა, დრო მინც თუ დარჩა ძველი?!

ისევ ტაში

სესია მიდის, სესია მოდის, ოღონდ რომელი ამართლებს ლოდინს? ტელევიზორს ვრთავ და კვლავ მცირის ტანში — გრძელდება ტაში!.. ჩამომიჭროლებს ეჭვი, ვით რაში — ის ტაში რაში?! ეს ტაში რაში?!

პარტბუში

ერთპარტიობის გავტეხეთ ნავსი: პარტია ასი, ლიდერიც ასი!.. და შემოგვირტყამს ბრჭყვიალა გარსი, რომ გვედოს ფასი, მაღალი ფასი!



პარტია ასი, ლიდერიც ასი! გინახავთ სადმე რაიმე მსგავსი?! რად გვინდა აზრი ან შინაარსი?! მთავარი არის ბრჭყვიალა გარსი!

პარტია ასი, ლიდერიც ასი! ეგება ასი რიცხვია თარსი?

„ოინს“ არ ვკმარობთ, გვსურს მხოლოდ „მარსი“! სად არის „მარსი“?! გრძელდება ფარსი!..

საპროქტალ

პოლიტიკა ახლა ჩვენში თავსაჩენი დარგია, ზოგ ქალს მეტიც არ უნდოდა — ნახეს სალაპარაკო, მიკროფონთან მივარდნილი ერთი ყანა დ' არკია, სხვა — მარგარეტ ტუტჩერია და სხვა კიდევ — დარიკო!

ვერ თოკავენ ამბიციებს, ვეღარც გაკაპახებებს, ჰკითხო — შუად აქვთ ახალ ქვეყნის პროექტი თუ შაკეტი, დრტვინავენ და მოითხოვენ ძალთა გადაფასებას, ქმრებსაც დაუტატანებენ, როგორც ლედი მაკბეტი.

ენერგია როგორ ხარჯონ — მოუსმინონ ჯოულის (შე ვერ ვიტყვი იმ ცხოვრებულ

ფიზიკოსზე უკეთო), მიტინგებზე თუ ირბინეს, მათ შვილებს ვინ მოუვლის, საქართველოს უფრო კარგი რაღა უნდა უკეთო?!

საბელადო

ერის შვილნი მომრავლდნენ, მომრავლდნენ ბელადები: პოზით, ბრეკით, ლაქლაქით და ზოგი სხვა სიკეთით, უამნო მომავლისანო, ხანდახან მელანდებით ულტიმატუმებით და მუქარით და პიკეტით!

დავიბენი, ღმერთმანი, კაცი რომელს მიენდოს, ვერ გავიგე, ვინ ვის უმობს, ანუ ვისზე ბატონობს, დაირიგეს როლები: ერთი რობესპიერობს, მეორე კი მარატობს, მესამე კი დანტონობს (ჩვენში რომ ვთქვათ, არც მინდა დრომ რომ ცალკე დამტოვოს — მიჩვეული ისე ვარ, ბელადი როს მპატრონობს!..).


თხოვნა

გადემოკრატებას მეც, ძმანო, ვემბრობი სულითაც, ხორცილთაც, ძვალთაც, ოღონდ ნუ მოხდება ეგ ნაცად ხერხებით: შანტაჟით, რბევით თუ ძალითა, თორემ ეს ცხოვრება, არც აღრე ქებული, გავვიხდა გაპიკეტებული!..



ილიუსტრირებული საქვანა

ნ.ბ. შ. აბაშიანი



...დამსწრე საზოგადოება შეიძლება დამეთანხმოს ან არ დამეთანხმოს, მაგრამ, ჩემის ღრმის რწმენით, დისერტანტს ფრიალ კეთილმინდობიერად უმხლავანია. ნაშრომში უმრავლესი საკიბრო-როტო საკითხია წამოჭრილი, გაშუქებული და თავისებურად გადა-ჭრილი, რაიც, ჩემის აზრით, ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს, რამეთუ ეს ავტორის გაბედულებაზეც მიუთითებს. დისერტანტს შეიძლება დამეთანხმოს ან არ დამეთანხმოს, მაგრამ პრობლემათა დიდი ნაწილი აქტუალურია, რაიც, ჩემის ღრმის წარმოდგენით, ძალზედ ეხმაურება შექმნილ სიტუაციას. ავტორს შეუძლიან მიიღოს ან არ მიიღოს ჩემს მიერ შემოგე ჩამოთვლილი შენიშვნები, რამეთუ ეს მისი პრეროგატივა გახლამთ. ჩემის უღრმესი რწმენით, თუმცადა დისერტანტის მთავარი დებულებები საფუძველშივე მცდარია, რაში-დაც ავტორი შეიძლება დამეთანხმოს ან არ დამეთანხმოს, ეს იოტის-ოდნადაც არ ამცირებს ნაშრომის მნიშვნელობას და მის ავტორს, ჩემის ღრმის შეხედულებით, თავისუფლად შეიძლება მიენიჭოს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, რაშიდაც დამსწრე საზოგადოებას, რა თქმა უნდა, შეუძლიან დამეთანხმოს ან არ დამეთანხმოს. გმადლობთ ყურიგდებისათვის!

ნუგზარ ახსნაყავა

გენვის შეცვლით საგნს ვერ შეიცვლი!

ი ბ ა ვ ი

მელოჯე მელიებს სორთები გაეთხარათ და იქ ბინადრობდნენ ჯგუფებად, ფერთა მსგავსობით. წითელი ფერის მელოების გვერდით შავი ფერის მელოები ცხოვრობდნენ, შავი ფერის მელოების გვერდით — რუხნი. ხოლო რუხი ფერის მელოების გვერდით კი — ნარინჯისფერნი.

მელოები ბეწვს იცვლიდნენ იმგვარად, რომელიც მათ ნადირობაში უწყობდათ ხელს. მაგრამ ნადირობიდან ზოგი მშვიერი ბრუნდებოდა, ზოგი — ნახევრად მშვიერი, მხოლოდ ის მელო ბრუნდებოდა მაძლარი, წელიწადის დროთა ცვლილებას სხეებზე უკეთ რომ უხამებდა თავისი ბეწვის ფერს. მიუხედავად შურისა, ასეთ მაძლარ მელოებს გამორჩევით სცემდნენ პატივს დანარჩენი მელოები.

ასეთი ნადირობით განთქმულ მოთარეშე მელოებს ერთი მიზანი ჰქონდათ — თავიანთ თვისებებზე წინამძღვრად აერჩიათ ისინი!

შ ე გ მ ნ ა ზ ა :

უღმრთოდ ფიქრი ბოროტების ხაწინდარია, კეშმარტება — უკვდავება!

სერგო ჩიტაური



ნ.ბ. შ. აბაშიანი

ეს ხომ სრული უკანონობაა და ამან კიდევ უფრო დააჩქარა „მოკავშირე“ რესპუბლიკების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ექვთიმანთის მიყოლებით გამოაცხადეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდავეთმა, უზბეკეთმა. სულ ახლახანს — რუსეთმა და უკრაინამ.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, რესპუბლიკების საღმრთო დიფერენცირებული მიდგომის, ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური ტრადიციების, საზოგადოებრივ, პოლიტიკური მისწრაფების გათვალისწინების აუცილებლობა „ელიზარებიანთ“.

კონფედერაციული სტრუქტურის შესაძლებლობაც კი იქნა „დაშვებული“ ზემოდან. მცირე ხნის წინ ასეთი მკრეხელური აზრი პოლიტიკურ შეცდომად და ქვეყნის ინტეგრაციის დალატად ჩათვლებოდა მევანს.

დღეს „ცენტრი“ დაგვიანებული „ნოვაციებით“ ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული ინიციატივა.

კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობაზე ხაზგასმით ითქვა: „ერთი დღითაც კი არ უნდა გადავდლოთ მუშაობა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადებისათვის, რომელიც ჩვენი მრავალფეროვანი სახელმწიფოს ღრმა ცვლილებების ბაზა იქნება“. ამასთან ისიც აღინიშნა, რომ ფედერაციის საბჭოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია უკვე ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით.

კი მაგრამ, რა უფლების ძალით უნდა გადაწყვიტოს მოსკოვში შეკრებილმა საბჭომ ამა თუ იმ რესპუბლიკის, „სახელმწიფოს“, ერას ბედ-იღბალი?

დემოკრატიულ, ჰუმანურ სოციალიზმზე „გადასვლას“ საფუძვლად ისევ ბატონყმური ურთიერთობები უდევს. სამოკავშირეო ხელშეკრულება თავად რესპუბლიკების ნება-სურვილის გათვალისწინებით უნდა დაიდოს, „ზემოდან ქვევით“ დიქტატი, კარნახი ორბაროვან სიტუაციას ქმნის.

ცენტრალური ხელისუფლება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე (იმპერიის დარღვევის შემთხვევაში ხომ უმუშევრად დარჩებიან!) ყველა ღონეს ხმარობს „კავშირის“ შესანარჩუნებლად. იგი არ აპირებს განუსაზღვრელი ძალაუფლებისა და პრივილეგიების დათმობას.

„სუვერენული“ რესპუბლიკებს აღარაფერს ეკითხებიან, ისე უპირებენ ახალი „უღლის“ დადგმას, მოდერნიზებული ბორკილებით „დამშვენებას“.

სამაგიეროდ ინტეგრაციის, საერთო სახლის (ევროპულს მალე აზიურსაც დაუმატებენ) ჰუმანური იდეებით გვიმასპინძლებიან. ამასთან რატომღაც ავიწყდებათ აღნიშნონ, რომ ინტეგრაცია (თუნდაც „ევროპული სახლის“ მასშტაბით) თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნებაყოფლობით, ურთიერთსასარგებლო თანამეგობრობასა და თანამშრომლობას გულისხმობს.

ბოლოს და ბოლოს, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ თავად უნდა მიხვდნენ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსი პროპაგან-

დისტული ხრიკებით, პოლიტიკური ბლეფით არ დაიძლევა!

საბჭოთა იმპერიის მოდერნიზაციის მცდელობა ძალზე გულუბრყვილო ადამიანებსაც ვეღარ შეიყვანს შეცდომაში.

15 სუვერენული, დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოს ურთიერთკავშირი, ინტეგრაცია შესაძლებელია, მაგრამ არა უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში!

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ისევ ტრადიციული რუსული სუვერენის მატრიოშკას „მექანიზმს“ დაეყრდნობა.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის კანონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სამოკავშირეო ხელშეკრულება კი ყოველმა რესპუბლიკამ საერთო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე უნდა დადოს!

იძულებითი კავშირის უარყოფა ნებაყოფლობითი ინტეგრაციის შესაძლებლობას არ გამოიჩინებს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციულმა რეჟიმმა ისე გადაჭაჭვა ერთმანეთში უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ერების საარსებო (ეკონომიკური) ინტერესები, რომ ჯაჭვის გაწყვეტა უმტიკივებულად არ ჩაივლის (ლიტვის მაგალითი ამის ნათელი ილუსტრაციაა).

უკანასკნელმა გაბრძოლებამ, ეკონომიკურმა ბლოკადამ და ძალისმიერმა ზემოქმედებამ ვერ შეაჩერა იმპერიის რღვევის პროცესი. ამიტომ გახდა სასწრაფოდ შესა-

თხველი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს.

საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისტორიული სამართლიანობის დამკვიდრებისა და ელემენტარული ლოგიკის თანახმად, ოკუპირებულმა და ანექსირებულმა რესპუბლიკებმა მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეიძლება მოაწერონ ხელი რაიმე ხელშეკრულებას.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოსაც მხოლოდ და მხოლოდ სსრკ შემადგენლობიდან გასვლის შემდეგ შეეკმნება იურიდიული საფუძველი ნებისმიერ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებისა.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის აღიარების შემდეგ ეს ერთადერთი სამართლებრივი გზაა.


ჩვენ მხოლოდ ამ გზით სიარული გვმართებს, რადგან სხვაგვარად მატრიოშკას „სტომაქს“ (იმპერიის კლანჭებს) თავს ვერ დავალწევთ!

ნურავინ მიიჩნევს ამას „სეპარატიზმის“ გამოვლინებად, რადგან ნებაყოფლობითი კავშირი, ურთიერთბატონის ცემაზე და სარგებლობაზე აღმოცენებული, შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელ და თავისუფალ ერებს შორის!



ავადმყოფ ჩვილ ბავშვს სასწრაფოდ სპირდება იმპორტული წამალი.. გთხოვთ დარეკოთ უფრადგ ნომერზე..

საბჭოთა საინჟინერო



ბავლარ ნოზაძე

მთვარეს დავახვით დალი
პლანეტის,
კონვერტში ჩავდეთ
ჩვენი მანეთი!

ვეებოღმება, ო, რა ტონით!
ამას ჰქვია ორატორი?!

ერთმანეთს კბილები
დავაძერთ —
ტკბილია ხავარძელი!

ერთი ქართველი —
საქართველო,
ორი ქართველი —
მტრები!
შენ რას იტყოდი,
საყვარელო,
ვცდები?

ე ტალონი — ეტალონი!
კარაქში ვცურავთ!
გამოდის მეტალონე —
„ურა!“

მეგრანჯა და მიტინგიცა,
მიინავლა მიტინგიცა!

ბევრიც იწყება ერთობით,
ერთობისათვის ერთობით!


სიზმარში ვიყავი
მასპინძელად.

ილია, აკაკი...
უკრავდა პიაფი.
შეკითხვა დახვეს და
პაუნა გაიწელა
— რა არისო დღეს
საქართველოში იაფი?
აკაკის ღიმილმა
საფეთქლები გამოხერხა:
— შაშს აგორებთ და
მოგდითო იაქი!..
ილიამ ჩურჩულით
ამოღერდა:
— კაცის კვლა არისო
იაფი!

„კაცი რო ლანდია,
კაცი რო ჩრდილია,
კაცი რო ფანდია,
კაცი რო სტვირია,
კაცი რო გრილია,
რა გასაკვირია
ამ დროში?!“ —
იტყოდა გავროში!

ბელადომანია,
ბელადონა,
ასე მგონია,
კიდევ მოვა!

აბეურები კისრებით
დავწვიტეთ —
ველაფერს წვეტენო
კადრები!
მერე კადრები რომ
გავწვიტეთ,
ცოცხლებსაც დაეფანტათ
დავთრები!..
სიტყვაში მარდები,
საქმეში ყალბები,
დაბლები,
დამბლები,
დამბლები,
იცოცხლე,
ბევრია კადრები!



მინიატიურები

მეიშმა ავადმყოფს გამოუწერა წამალი და გააფრთხილა, —
წამლები ჭამის შემდეგ მიიღეო!
ავადმყოფმა სთხოვა ექიმს: — ბატონო ექიმო, ამ წამლებთან
ერთად საჭმელიც გამომიწერეო!

— : — : —

მალაზიის გამგემ საკუთარ ოჯახს 4 კილოგრამი ხორცი გა-
უგზავნა. მისმა ცოლმა აწონა და აკლდა 200 გრამი. შინ რომ დაბ-
რუნდა, ცოლმა უთხრა: — ჩვენ 200 გრამი დაგვაკელი და სხვას
რას უზამო?!

— : — : —

ავტონისკეპტორის შვილმა ფიზიკაში ორიანი მიიღო. დე-
და გაუჯავრდა და დასძინა, — მამაშენი მოგვეკლავსო! დღიურში
ბავშვმა ჩაღო თუმანი და მამამისს უჩვენა. მამამისმა ფული ჭიბეში
ჩაიღო და შვილი გააფრთხილა, — შემდეგ გამოასწორეო!

— : — : —

გავშვმა აკარული ხაჭაპურის გამყიდველს ჰკითხა:
— ამ ხაჭაპურს რა ავადმყოფობა შეეყარა, ასე რომ გახდაო?!
გამყიდველმა უპასუხა:
რომელი ავადმყოფობა! მოდას აყვა და სპორტოლოპერატივი
ჩაირიცხა, წონაში რომ დაიკლოსო!

ააააი ვავშინააა

ჰინ, რამდენს, რისთვის...

არა მგონია, რამე
 სხვისი უთქმელი მეთქვას:
 სამსახურებში ყველა
 ნაირს ლებულობს ხელ ფასს!

ზოგიერთების ტვინი
 ჰგავს დაუწერელ დაფას!
 ზოგი აზროვნებს, კიდევ
 ამაში იღებს თავ ფასს!

არაფრისათვის ზოგი
 ხელფასს ლებულობს ძვირ ფასს!

სხვა კი თვის ბოლოს იღებს
 თვლემ ფასს, ხვრინ ფასს და
 ძილ ფასს!..


ამოდ ელის იგი
 ქება-დიდების შესხმას,
 ვინც მისვლა-მოსვლით მხოლოდ
 იღებს რიგიან ფეხ ფასს!

ზოგი ქაქანებს მთელ დღეს
 და ბადესა ქსოვს ორფას,

სალაროში კი იღებს
 საკმაოდ მოზრდილ კორ ფასს!

უნდა გადაწყდეს — ყველას
 მისი სახელი ერქვას!
 უნდა ვიცოდეთ, რისთვის
 ვინ რამდენს იღებს ხელ ფასს!

ნუგზარ აფხაზავა



ნ.ბ. ჯ. ლოლუასი

ბ ა ბ რ ა ბ ა

ადგილბატმბ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ო -
ცესზე სიტყვა აიღო და თავისი კლიენტის
დახსიათებას შეუდგა.

იგი უაღრესად ლმობიერი, თავაზიანი,
გულისხმიერი და კეთილხინდისიერი ადა-
მიანია..

უცებ ბრალდებული წამოხტა და სიტყვა
შეაწყვეტინა:

— შე ა მ ტ ი ა ს ჩემს დასაცავად იმდენი
ფული მივეცი და ეგ კი მთელი ნახევარი
საათია, სხვა ვიღაცაზე ყბედობს!

თ ა ლ ლ ი თ ო ბ ა

— რანდომ მონატუშეთ ის ხალხი,
ვინც გენდობოდათ?

— იმიტომ, რომ იმათი მოტყუება, ვინც
არ მენდობოდა, ბატონო მოსამართლეც,
ყოვლად შეუძლებელი იყო!

უ ა ლ თ ა ბ ა ნ დ ო ბ ა

— რა ლამაზი ძაღლი გყოლიათ!
— დიახ, თანაც ძალიან ერთგულია: სამ-
ჯერ გავყიდი და სამჯერვე უკან დამიბრუნდა!

შ ე მ გ უ ა ბ ლ ო ბ ა

— გუშინ ჩვენი ხაწარმომ განყოფი-
ლება გაზეთში გააკრიტიკეს. დამნაშავე
უნდა დაისაჯოს!

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ არ ვიცით, ვინ
გაგზავნა წერილი რედაქციაში?!

ბ ა მ ო ო ძ ა ლ ბ ა

ბ დ ვ ო ბ ა ბ ი: პატარა ბიჭი რომ ვიყა-
ვი, მეკობრეობაზე ვოცნებობდი.

კ ლ ი ე ნ ბ ი: შესაშური!.. ყველას
ხომ არ უსრულდება ბავშვობის ოცნება!

თ ვ ა ლ ი ს ა ს ვ ე ბ ა

რესტორნის მფლობელმა ოფიცია-
ნტებს მიმართა:

— დღეს თქვენ განსაკუთრებით თავაზი-
ანები უნდა იყოთ!

— ვინმე საპატოო სტუმარი მოდის?
— არა, ძალიან მაგარი ხორცი გვაქვს!

ს ი მ მ დ ა ლ ე

პოლიციელმა დაპკითხა დღისით-
მზისით ქუჩაში მომხდარი მკვლელობის
მოწვე.

— მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ორივე
განსროლის ხმა გაიგონეთ?

— სრულად კეშმარტება! პირველად რომ
გაისროლა. შემთხვევის ადგილიდან 25 მეტ-
რის მანძილზე ვიყავი.

— და მეორედ?
— მაშინ, ალბათ. უკვე სამსამედ მეტრის
დაშორებით ვიქნებოდი..

ს ა მ მ ო ს ნ ო ბ ა

— სერ მისაღებში ხალხის ჩგუფი
გელოდებოთ. უნდათ თქვენი ფინანსური
წარმატების საიდუმლო შეიტყონ! — მოახ-
სენა შეფს მდივანმა.

— ვინ არიან, უურნაღისტები თუ... პო-
ლიციელები? — ჰკითხა შემკრთაღმა მილი-
ონერმა.

ს ი უ ა ლ ბ ა ს ბ ა მ ო ა შ ა რ ა ვ ე ბ ა

— უპკვი რამდენიმე წელია, თქვენ-
თან ამ კერძს ვუკვეთავ და ყოველთვის ორი
ნაჭერი ხორცი მოაქვთ. დღეს ერთი რატომ
მომცეს? — ჰკითხა სტუმარმა მიმტანს.

— უკაცრავად, მუხიე, ეტყობა მზარე-
ულს ხორცის ორად გაქრა დაავიწყდა!

ქ ა რ ა ბ მ ი ს ა ს ხ ნ ა

— მამა, სკოლაში მასწავლებელმა
ჩემზე თქვა: ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ
ვარდებოა. რას ნიშნავს ეს?

— ალბათ კიდეც რამე სისულელე თუ წა-
მორღო!

წ ი ნ ა ს წ ა რ მ ბ ე ტ უ ე ბ ა

— წარმოიდგინე, ჩემს მეგობარს
წინასწარ უწინასწარმეტყველებს მთელი ხუ-
თი წლის მომავალი.

— საინტერესოა, ვინ არის ეგ წინასწარ-
მეტყველი?

— მოსამართლე, რომელმაც ჯანაჩენი გა-
მოუტანა.

გ ა მ ო ო ო დ ი ლ ბ ა

— ჰმ, მაშასადამე, გინდათ ათასი
ქრონი მეხეხხოთ? მერედა, სად არის გარან-
ტია, რომ ვალს ნამდვილად ნახევარ წელი-
წადში დამიბრუნებთ?

— პატოსანი კაცის სიტყვას გაძღვეთ!
— მაშ, გელოდებით ამ საღამოს იმ კაც-
თან ერთად!

ნ უ ბ ა შ ი

— ძვირფასო, ძალიან მიმიძის ჩემი
ქალიშვილობის დროინდელი ჩვევების ერთ-
ბაშად მოშლა..

— არც არის ხაჭირო, ჩემო სიცოცხლე!

ისეც ისე გამოართვი ხოლმე მამაშენს ფუ-
ლი, თითქოს არა მომხდარა რა!

რ ე ბ ლ ა მ ბ ა

ს ო ვ ლ ი ს პ ა ტ ა რ ა სა ს ტ უ მ რ ო ს რ ე კ -
ლამა იუწყებოდა: „ჩვენთან სიმწვანე, სი-
წყნარე და სუფთა ჰაერია. თუ აქაც ღრმა
ძილს ვერ შეიქცემით, მაშასადამე, სინდისი
გაწუხებთ!“

ს ა ბ ა ბ ი მ რ ო შ ი

— შენ რისთვისღა წიხარ? —
ჰკითხა ერთმა პატიმარმა მეორეს.

— შე კონკურენციის მსხვერპლი ვარ.
— როგორ?

— ისეთივე ფული დავამზადე, როგორც
სახელმწიფო ბანკმა!

გ ა მ ო ო ვ ა ნ ა ზ ე

ორი ამხანაგი ცნობილი მხატვრის
სურათების გამოფენას ათვალერებდა. მხა-
ტვრის ავტოპორტრეტის წინ რომ შეჩერდ-
ნენ, ერთი დაეკვდა: აბა, ამას თვითონ რო-
გორ დახატავდა, ხელები ჩიბეში უწყვიო!

ნ უ ბ ა შ ი

— რატომ ხართ თქვენს კოლეგაზე
გამწყრალი? — ჰკითხა შეფმა ოტოს.

— საჩაროდ მითხრა: — შეიძლებოდა
შენგან პატოსანი ადამიანი გამოსულიყო!

— მერე რა? მანც არავინ დაუჭერებს!

დ ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ა

— თქვენ ხომ კარის ზარის შეკეთებას
შემპირდით და რატომ არ მოხვედით? —
მიაკითხა დაიკემ სახლმმართველობაში ელე-
ქტრომონტიორს.

— სამჯერ გახლდით, ქალბატონო, მაგრამ
რომ ვრეკავდი, კარს არავინ მიღებდა!

ს ა უ კ ე ა ლ ო რ ი

— ამ ბინაში წყალგაყვანილობის მი-
ლია შესაკეთებელი? — იკითხა ხელოსანმა.

— ჩვენთან ყველაფერი რიგზეა! — მიუ-
გო დაიხასხისმა.

— როგორ თუ რიგზეა?! — გაიკვირვა
ხელოსანმა. — განა აქ გელმანები არ
ცხოვრობენ?

— ისინი უკვე ნახევარი წელიწადია, რაც
გადავიდნენ.

— ყოველთვის ასეა, — თქვა საყვედუ-
რით ხელოსანმა, — გამოგიძახებენ და მერე
კისრისტებით გარბიან!

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილი

ტუმბორანკა



სატირისა და იუმორის შურნალი „ნიანბი“ №22 (1824). ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), პაპუა ამირეჯიბი, ნოშაი ბარათაია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მაღალაშვილი, ალექსანდრე ხაშო-ნია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი ლუნდუა

გადაეცა ასაწყობად 19. 10. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 11. 90 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. №14. შეკვ. №2258. ტირაჟი 125.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი №42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მე მანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 78187

მაშინ უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდი, მთელი დღე მეცადინეობით გაბრუნებული, საღამოს ბაღში გაველი ჰაერზე, იქ ჩემი თანაკლასელი ბურღუ არამია ვნახე.

— როგორ არის შენი საქმე, ბურღუ?
— ძალიან კარგად!
— ალბათ თავაუღებლად მეცადინეობ, არა?
— პირიქით!
— რა?! არ მეცადინეობ?! აბა, როგორ ჩააბარებ?!
— ვიპოვე!
— რა იპოვე?
— რა კი არა, ვინ-თქო!
— გასაგებად მითხარი!
— კაცი ვიპოვე! იცი, რა მითხრა? — ხომ იცი, ბიძია, ახლა რამდენს იხდიან სამედიცინოზე, ზოდა, იმას მიუმატე კიდევ სამი იმდენი და უგამოცდოდ ჩავარიცხვინებ შენს თავს! გავუგზავნე ჩემებს დებეშა, საქმე ასე და ასეა-მეთქი. მივიღე დასტური.

— ვინ არის ის კაცი?
— კაცი კი არა, ასეთი საქმეების ღმერთია!
— სად მუშაობს?
— იქ მუშაობს, სადაც რა საქმეს აწყობს!
— განა შეიძლება ასეთი რამ?!
— მეც შენსავით შეუძლებლად მიმაჩნდა, მაგრამ მან გამარკვია, როგორ ხდება, დამაჩერა!.. რა იყო, რა უნდობლად მიყურებ?! მალე ნახავ და, მაშინ ხომ დარწმუნდები?! აბა, წავედი! პაემანზე ვარ!

მე იმ წელს ჩავაბარე გამოცდები უნივერსიტეტში. დავამთავრე და მუშაობა დავიწყე. ერთი წლის მერე მივლინებით გამაგზავნეს რაიონში, იქ შემხვდა ბურღუ არამია. ორივეს გავიხსარდა ერთმანეთის ნახვა. ბურღუ შეცვლილიყო, მის დაუღაჟა სახეს უდარდელი იერი ჰქონდა. ბევრი ამბავი გავიხსენეთ,

მათ შორის აბიტურიენტობის პერიოდიც.

— ბიჭო, რა იღბალზე იპოვე შენ ის კაცი მაშინ, უგამოცდოდ რომ ჩავარიცხა! ახლა ექიმი ხარ! დიდი მოხერხებული კაცი ყოფილა ის შენი დამხმარი!

— ზო!.. საწყალი გერონტი!..
— რატომ საწყალი?!
— ჩავარდა! ხუთი წელი იჯდა! როცა გამოვიდა, სოფლებში სურსათს, ხილსა და ბოსტნეულს ყიდულობდა ცეკავშირისათვის.
— ზო, ასეთები ფულს ბლომად იჭიბავენ!
— ალბათ, არც ის დააკლებდა ხელს, უბედური!
— აქაც ჩავარდა?

— არა! ერთ დღეს, საღამოს, მორიგე ვიყავი საავადმყოფოში, მოიყვანეს კაცი, რომელიც ტკივილებისაგან იტანჯებოდა!.. ვნახე, გერონტი იყო! გავსინჯე, ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევა ჰქონდა!.. სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაეკეთდეს-მეთქი, ვუთხარი. რაკი სხვა გზა აღარაა ჩემთვის, გავიკეთებ, მხოლოდ გთხოვ, კარგი ექიმი მომიყვანე და ფულს არ დავიშურებო! აქ ქირურგი ჩემს მეთი არავინ არის, მე გავიკეთებ, სწრაფად გაათავისუფლებ, ნუ გეშინია-მეთქი! მეხვეწა, შენ ნუ გამიკეთებო, მაგრამ დრო აღარ ითმენდა!.. საოცარია, ქირურგიაში ბრმა ნაწლავის ოპერაცია რთულად არ ითვლება, მაგრამ ვისაც კი გავუკეთე, ყველა დაიდუპა!.. არა ხდება, ვერ გავიგე?!
— სხვების არ ვიცი, ჩემო ბურღუ, მაგრამ იმ კაცს, გერონტის, მისი მოქმედების შედეგი ბუმერანგით მიჭბრუნებია! ხოლო შენ, როცა შენისთანა ექიმი გავიკეთებს ოპერაციას, მაშინ მიხვდები შენს შეცდომას, თუმცა შენ მაშინ ვედარაფერს ვერ გაიგებ გერონტივით!

— ა?!
— ა?!.

გივი ჯაფარიძე

